

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №05

2013 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

მზღვეველისათვის ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის შემოღების თაობაზე

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და 21-ე მუხლებისა და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 02 მაისის №102 დადგენილების მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე: **ვბრძანებ:**

1. დაწესდეს მზღვეველისათვის ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში (რომელსაც მიეკუთვნება საბაჟო ვალდებულებების შესრულების გარანტიები, ფინანსური რისკების დაზღვევის პოლისები, საბანკო გარანტიები, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გარანტიები და სხვა ნებისმიერი სახის გარანტია) აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის შემდეგი ზღვრული თანაფარდობა:

ა) საქმიანობის განხორციელების ნებისმიერი მომენტისათვის, ერთ დამზღვევეზე და/ან ურთიერთდაკავშირებულ დამზღვევეთა ჯგუფზე ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში გაცემული პოლისებით/გარანტიებით აღებული ნეტო ვალდებულება არ უნდა აღემატებოდეს მზღვეველის წინა საანგარიშო თარიღისათვის არსებულ საკუთარ კაპიტალს 15 %-ს;

ბ) საქმიანობის განხორციელების ნებისმიერი მომენტისათვის, მზღვეველის მიერ ამ სახეობაში საკუთარ თავზე აღებული ჯამური ნეტო ვალდებულება არ უნდა აღემატებოდეს წინა საანგარიშო თარიღისათვის არსებული საკუთარი კაპიტალის ათმაგ ოდენობას.

2. ამ ბრძანების მიზნებისათვის, ურთიერთდაკავშირებულ დამზღვევეთა/დაზღვეულთა ჯგუფი წარმოადგენს მზღვეველის ორ ან მეტ დამზღვევეს/დაზღვეულს, რომელთა შორის არსებობს შემდეგი სახის ურთიერთობები:

ა) დამზღვევი/დაზღვეული მზღვეველისათვის წარმოადგენს ერთ რისკს, ვინაიდან, ერთ – ერთი მათგანი პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ახორციელებს კონტროლს მეორეზე ან დანარჩენებზე; და/ან

ბ) დამზღვევეები/დაზღვეულები მზღვეველისათვის განიხილებიან ერთი რისკის შემადგენელ პირებად, ვინაიდან, ისინი ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ თუ ერთ–ერთ მათგანს შეექმნება ფინანსური პრობლემები, მეორე ან ყველა დანარჩენი აღმოჩნდებიან ფინანსური სირთულეების წინაშე.

3. ამ ბრძანების მიზნებისთვის, მზღვეველის მიერ საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე გაცემული პოლისი/გარანტია, რომელიც ძალაში შედის საანგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდში, ჩათვლება ძალაში შესულად, მისი გაფორმება/ გაცემის თარიღიდან.

4. ამ ბრძანების მიზნებისათვის, მზღვეველის სადაზღვევო ვალდებულებების ნეტო ოდენობა მოიცავს ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობის ქვეშ აღებულ სადაზღვევო თანხას /ანაზღაურების ლიმიტს, რომელიც მცირდება შესაბამისი გადამზღვევი კომპანიის/ების მიერ აღებული ვალდებულებებით. ამასთან, გადამზღვევი კომპანია უნდა იყოს დარეგისტრირებული (ეგთო)–ს და/ან განვითარებულ ქვეყნებში, მას უნდა გააჩნდეს ერთ–ერთი ქვემო აღნიშნული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს შეფასება და რომელიმე მათგანის მიერ მინიჭებული მინიმალური რეიტინგი, არანაკლებ: Standard & poor's : BB+, AM Best: B, Moody's: Bal, ან Fitch BB+. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადამზღვეველის მიერ აღებული შესაბამისი



ვალდებულება არ გამოიყენება ამ პუნქტში აღნიშნული ნეტო ვალდებულების გაანგარიშებაში.

5. მზღვევის საკუთარი კაპიტალის დათვლის დროს გამოიყენება „მზღვევის ფინანსური ანგარიშგების ფორმების და მათი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“, 2013 წლის 24 დეკემბრის #01 ბრძანების პრინციპები და განმარტებები. ამასთან დათვლის დროს არ გამოიყენება შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა და მზღვევის განცხადებული კაპიტალის ოდენობა, რომელიც არ არის შევსებული დამფუძნებლების /აქციონერების მიერ.

6. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში დადებული იმ გარიგებებისათვის, სადაც ბენეფიციარს წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და/ან საწარმო, სადაც სახელმწიფო წილი 50%-ზე მეტია, გარდა ზემოაღნიშნული შეზღუდვებისა, დაწესდეს დამატებითი შეზღუდვა, კერძოდ, მზღვევის მიერ აღებული ნეტო ვალდებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 მილიონ ლარს თითოეულ გარანტიაზე.

7. მზღვევს, რომელიც წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დროისათვის და შემდგომში – საქმიანობის ნებისმიერი მომენტისთვის ვერ უზრუნველყოფს მასში მითითებული შეზღუდვების დაცვას, ეკრძალება ამ სახეობაში ახალი ვალდებულებების აღება ზემოაღნიშნული გარემოების აღმოფხვრამდე. ამასთან, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის იმ პოლისებზე/გარანტიებზე, რომლებიც 100 % –ით იქნება გადაზღვეული ამ განკარგულების მე-3 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების შესაბამის გადამზღვევლთან.

8. მზღვევს ეკრძალება დივიდენდების გაცხადება და გაცხადებული დივიდენდების გაცემა, ასევე, კაპიტალის /სააქციო კაპიტალის შემცირება, წინამდებარე განკარგულებით დაწესებული ზღვრული თანაფარდობის დარღვევის პირობებში ან თუ ამგვარი ქმედება იწვევს ზღვრული თანაფარდობის დარღვევას.

9. მზღვევის მიერ ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

10. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლაშა ნიკოლაძე

